

რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакцію газ. „Дროзга“.

ბაჟეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნაბეჭდი ღირს შაურად.

# დროება

სომეხ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განსტყვევების: ცენტრალურ ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცენტროთი—5 კაპ., პატარაითი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდო გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1879 წელს ბაჟეთი

## „დროება“

ბამოდის მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

### ხელის-მოწერა

მთელი წლის ში მიიღება რედაქციაში, ბალის ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლში, № 33.

შალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბარონ: ВЪ Типографіи. Въ редакцію газеты „Дроизга“.

### ბაჟეთის ფასი

მთელის წლისა — — 8 მან.  
მეცხვის თვისა — — 5 მან.  
სამის თვისა — — 3 „  
ერთის თვისა — — 1 „

პირველი აპრილიდან წლის დამდეგამდე 6 (ექვსი) მან.

შული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

## ფალტონი

შეიძლება თუ არა გაყვანილი იქმნას „დროების“ მე — 47, 48, 49 №-ებში“ მოყვანილი ცოდნანი ჩვენს სასოფლო და სამოქალაქო შკოლებში?

ჯერ სასოფლო შკოლებზე. თქმა არ უნდა, რომ რამოდენათაც სასოფლო შკოლები უფრო უკეთესად იქნებიან მოწყობილნი და დაწესებულნი, იმდენათ იგინი უფრო უკეთესად და წარმატებით შეასრულებენ დანიშნულ პროგრამას. ამიტომ, ჩვენს ფიქრით მეტი არ იქნება, რომ ჩვენ რამოდენათმე მაინც გამოვხატოთ სასოფლო შკოლების დაწყობილობანი. თავდაპირველი მიზეზი ჩვენი სასოფლო შკოლების აქამომდე ცუდი მსვლელობის იყო (და ზოგიერთ აქამომდეც არის) ის, რომ, სწავლა და გარდაცემა სასწავლო საგნებთა მიდიოდა არა სამშობლო ენაზე, არამედ უცხო-რუსულ ენაზე. ჩვენდა სანუგეშოდ ეს უპირველესი დაბრკალება ჩვენი შკოლების წარმატებისა ამჟამად რამოდენათმე მაინც მოშორებული გვაქვს. მეორე მიზეზი ჩვენი სასოფლო შკო-

## ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

კაბელები, 4 აპრილი. „ბოლოსი“ გვაცნობებს, რომ იმ დამნაშავეს საქმის გულისათვის როგორმაც ესროლა რევოლვერი იმპერატორს, აღგენენ უმალდეს სისხლის სასაპართლოს. ამ საქმის გამოძიება მიანდეს სენატორს ლეანტიევს, რომელიც კიდევ შეუდგა თავის დანიშნულ თანამდებობის აღსრულებას.

„ბოლოსი“ მეორეთ გააფრთხილეს. „მმართველობის უწყება“ გვატყობინებს, რომ ხელმწიფე იმპერატორმა თავის საზამთრო სასახლეში, როდესაც შეიყარნენ მის მისალოცავათ, წარამოსტევა შეიძლება სიტყვები: მე დიდათ ვგრძნობ და გულითაც ვარ მადრიელი თქვენს ერთგულებისათვის, მხოლოდ ესწუხებარ, რომ ამისი მიზეზი ესოდენ უბედური შემდგვევა. ლმერთმა ინება რომ მე მესამედ გადავრჩენილიყავ აუცილებელი სიკვდილისაგან და აღსავე გულით ვსწირავ მას მადლობას მის ჩემდამი წყალობისათვის. შემადლებინოს

ლების უხეიროდ მსვლელობისა იყო და არის კიდევ—მრავალნი განყოფილებანი კლასში. როდესაც სამაზრო ანუ სამოქალაქო სასწავლებელში ოციოდე მაგირდს ასწავლიან რამოდენიმე მასწავლებელნი და ამასთან თითო ამთგანი საკუთრად დაჩემებული სასწავლო საგნიდამ, ამავე დროს სასოფლო შკოლებში სრულიად პირიქით სურათს ვხედავთ: აქ მხოლოდ ერთმა მასწავლებელმა უნდა გარდაჰსცეს ყოველი ის, რასაც სამაზრო ანუ სამოქალაქო შკოლებში გარდაჰსცემენ სხუთნი მასწავლებელნი და ამასთან ყოველი უნდა გარდაჰსცეს მხოლოდ არა ერთ კლასს ანუ ერთ განყოფილებას, არამედ სამს და ზოგჯერ ოთხ-ხუთ განყოფილებასაც. აბა ერთი გვიბრძანეთ რა უნდა მოასწოროს სოფლის მასწავლებელმა ამდენ განყოფილებებში ორიოდე გაკვეთილით კვირაში? ეს კიდევ ცოტაა. იმ დროს, როდესაც სამაზრო და სამოქალაქო მასწავლებლებს აქვთ სამ-სამი და იშვიათად ოთხ-ოთხი გაკვეთილი დღეში, სასოფლო მასწავლებლებს აქვთ ხუთ-ხუთი გაკვეთილი და ზოგჯერ მეტიც (ბაღში მუშაობა, ვიზნასტიკა). აქაც გვიბრძანეთ—აბა რის სწავლება უნდა მოასწოროს ამდენ აუარებელ და

ლმერთმა კვლავი სამსახური რუსეთისა მიჩვენოს რუსეთი იმ მდგომარებაში, რა მდგომარებაშია ჩემს გულს ჰსურს მისი ნახვა. პირვე გიცხადებთ მადლობას.

## სამართლო

II

### კამასია—ავღანი

(ისტორიულ-პოლიტიკური განხილვა)

ავღანელებ შორის ორგანოები განიჩევა შესანიშნავათ აბდალოს გვარი და აფრიდონელები. აბდალოს გვარი უფრო ველიერი და დაბალი ხასიათისა არის. აფრიდონელებს კეთილშობილება ეტყობა ყოფაქცევაში, მარჯვე მეომრები არიან და რანდული ხასიათი აქვთ. შორსა და მიმინოს წვრთნას ძალიან ეწყობიან; ნადირობა უყვართ.

ჩვენს ისტორიაში ეს ხალხი პირველად მესხეთე საუკუნეშია მოხსენებული, როდესაც იმან მანტანგ ბორგასლანმა დაუწყო ბრძოლა, მთელი სპარსეთის ჯარის მიხმარებით. მანტანგ-ბორგასლანმა

ერთი ადამიანისთვის აუტანელ და გაუწყვეტლივ შრომაში მასწავლებელმა? თქვეს თვითონ იფიქრეთ, მკითხველო, როგორი გენიოსი უნდა იყოს სოფლის მასწავლებელი, როგორი ძლიერი აგებულობისა, როგორი მომთმენი, რომ სხუთმეტი გაკვეთილის (ეს როდესაც სამი განყოფილება ჰყავს და ხუთს საათს ასწავლის დღეში) შინაარსი დაიხსომოს, შეამუშავოს, მოამზადოს მეორე დღისთვის? შევლა ამას დაუმატეთ ათობით გასასწორებელი რვეულები, ცივი და ნოტიო კლასის ოთახები, უწმინდური და დაჰსმული კლასის ჰაერი და თქვენ ნათლად გაიგებთ ყველა იმ დამაბრკალებელ მიზეზებს, რომელნიც წინ უძევთ ჩვენი სასოფლო შკოლების წარმატებით წინ-მსვლელობას მრავალი განყოფილებებისაგან! ეს დაბრკალებანი (ენის შემდეგ) არიან უპირველესნი მიზეზნი ჩვენი სასოფლო შკოლების უხეიროდ მსვლელობისა! მართლაც და სრულიად სხვა სურათი წარმოგვიდგებოდა წინ, თუ სასოფლო მასწავლებელი ოთხის წლის განმავლობაში და ხუთივე გაკვეთილს დღეში მოახმარებდა პირდაპირ და მხოლოდ ერთს და იგივე განყოფილებას, ერთს და იგივე მაგირდებს და არა ხან ერთს, ხან მეორეს, და ზოგჯერ





სეთის მეფე აბას-ყული-ხანი შეევედრა საქართველოს მეფეს ბიორგი მეთერთმეტეს, რომ ავღანელები და ბელეჯელები დააცხროს. ისინი იმდროს ისე გაძლიერებული იყვნენ, რომ მთელი აღმოსავლეთის მაზრები სპარსეთისა ხელში ჩივდნენ. ბიორგი მეთერთმეტე თავის მხნე ძმის ლევანის თან ხლებით წავიდა შანდარისკენ საქართველოს ჯარი; იმას მოერთო სპირეთის ჯარიც დაიჭირა შნდარი, შობული, აზარე და დაამზვიდა ბულუჯის სულთანი. ეს მოხდა 1640 წლებში. ამჟამათ ჯერ კიდევ ავღანის სახელმწიფო ეროის ემირის მბრძანებლობის ქვეშ არ იყვენ. ისინი იყვენ-მეზრებათ დაყოფილი, ყოველ მაზრას ფლობდა თავის საკუთარი ერისთავი, ეს ერისთავები ბელუჯის ტანის სულთნის წაქეზებით აოხრებდნენ სპარსეთის სახელმწიფოს. მთელი ავღანისტანის მაზრები ინგლისის შემწევობით პირველად შეაერთა ერთ სახელმწიფოთ ღოსტ-მალომედმა მეცხრამეტე საუკუნეში; ეს იყო ძლიერ ქკვიანი გამჭრიახი და მხნე მემომარი კაცი, მამა საწყალი შირ-ალისა, რომელიც მოკვდა ამ ზამთარში.

(შემდეგი იქნება)

ბ. წერეთელი

დღიური

\*\*\* ჩვენ შევიტყუეთ, რომ ქართული თეატრის მოყვარულთაგან არჩეულს კომიტეტს, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ქართული სამუდამო თეატრის დადგენა და რომელშიაც არიან უ. ლომ. შიფიანი, ნ. ავალიშვილი, თ. ბ. თუმანიშვილი, ალ.

სარაჯოვი და არ. მუთათელაძე, აუსრულდება უკვე თავის მინდობილება: შეუდგენია წესები, სამუდამო ტრუპის სახელმძღვანელოდ, და მოუყვანია ცნობაში, თუ რა სეპერტუარი (სათეატრო თხზულებანი) გვაქვს და რა და რა ტანისამოსი და ნივთეულება დასჭირდება თეატრს და ეს ყველა რა ელირება. მიახლოვებითი გამოანგარიშებით საჭიროა თურმე ხუთასი თუმანი, რომ ყველა ეს საქაროება შეისრულოს მომავალმა ქართულმა თეატრმა, ამ ფულის მოსაპოვებლად ხსენებული კომიტეტი აპირებს თურმე მიჰმართოს ქართველ საზოგადოებას შემწეობისათვის. იმედია, რომ ჩვენი საზოგადოება გულ-მოდგინებით მოუმართავს ხელს ამ საჭირო საქმეს და შემწეობას არ მოაკლებს.

ამ ცოტა ხანში ამ საგანზედ უფრო ვრცელად მოვილაპარაკებთ.

\*\*\* ალექსანდრაპოლიდამა იწერებიან სომხურ გაზეთში „მშაკში“, რომ იქ თურმე ხსნიან ვაქების პროგინაზიას. ამას გარდა იწერებიან, რომ იმ პირთ, რომელთაც ეჭირათ სახანე-სათესად ქალაქის ადგილები, ჩამოართვეს. ლუქნებისა და სახლების ფასი მოემატა, ზორაგყული ძრიელ გაქვირდა.

\*\*\* მრთი „მშაკის“ კორრესპონდენტი იწერება მრეწნიდამ, რომ თურმე იქ ფოჩტაში დაბეჭდილ წიგნებს ხსნიან და ჰკითხულობენ. ამ უწესობაზედ „მშაკი“ მიაქცევს პოჩტის გამგეობის ყურადღებას.

\*\*\* ბათუმიდამ გეწერენ მ აპრილს, რომ ღენ. შამაროვი (გორსკი უპრავე-

ლონიის უფროსი), რომელიც იქ იწერება იმყოფება ბათუმში, აპირებს ამ ღღეებში ტრაპიზონის ლებერნატორთან იუსუფ-ფაშასთან წასვლას მოსალაპარაკებლათ ღროებითი (ადმინისტრაციული) სამზღვრის დადგენაზე ჩვენსა და მსმალეთს შუა.

\* \* \* „მშაკში“ იწერებიან სოფ. აესტარანიდამ, რომ იქ თურმე გაჩენილა მინდერის თავგები, რომელნიც აფუქებენ ყანებსა. ამბობენ ეს მინდერის თავგები ჯგუფ-ჯგუფად მისულან შემახიილამ აესტარანში; როდესაც გადიოდნენ მტკვარს პირში თურმე თითო-თითო თავგს ეჭირა პურის თავთავი.

\* \* \* რაკი გაჩნდა ჩვენ საზოგადოებაში იმედი, რომ ჩქარა დაარსდება სამუდამო ქართული თეატრი, პიესებიც თავისთავად იბადებიან. როგორც გავიგეთ, ამ ჟამად სთარგმნიან სხვა-და-სხვა პირები შემდეგ პიესებს: „სევილიის დალაქი“ ბომარშესი, „სამოწყალოდ მიღებული“ ალექსანდროვისა და „შანდანი“ ალფრედ ღე-მიუსსესი. მრგინალური პიესების დამწერებს კი მოვაგონებთ, რომ ამ ექესიოდ წლის წინად დანიშნული იყო საჩუქრად რცი თუმანი დიდი ორიგინალური პიესის დამწერისათვის და აქამდღი ეს საჩუქარი არავის არ მიუღია. ხსენებული ფული განგებ ამისთვის ამორჩეულ კომისიის ხელშია. ძომისიას შეადგენენ თ. ღე. მრისთავი, ილ. შავჭავაძე და შახ. თულაშვილი.

ში 1880 წელსა სასოფლო შკოლაში მიიღებენ კიდევ მაგალითად 25 მაგირდსა, რომელნიც შეადგენენ უმცროს, მგორე, გაყოფილებას. აბას შემდეგ მასწავლებელი ასწავლის ერთის მაგიერად ორ გაყოფილებას, ვიდრე იენისამდე 1882 წელსა, როდესაც უფროსი განყოფილების მაგირდები შეასრულებენ ჰსწავლას და მათ ადგილას მიიღებენ ახლებს...

მესამე მიზნში ჩვენი სასოფლო შკოლების უხვიორდ მსვლელობისა არის ის რომ შკოლაში მივიღებთ ძლიერ და ძლიერ მცირე წლოვანებს. სასოფლო მასწავლებელთა კრებაზე გარდაწყვიტეს მაგირდების ექესი წლიდამ მიღება. აქედამ ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ ახლანდელ სასოფლო შკოლებში სწავლას დაასრულებენ ათის წლის ბავშვები, რომლებსაც ისეთივე და იმდენივე სწავლა ეჭირებათ, როგორც და რამდენიც ამაზე მცირე წლოვანებს. მრთი გვიბრძანეთ რა ცვლილებაა, რა ნათელი უნდა შეიტანოს ათის წლის შეგირდმა თავის საკუთარ სახლში, სოფელში? აბა რა გავლენა უნდა იქონიოს ათის წლის ბავშმა თავის ღებზე, უმცროს ძმებზე, მეზობლებზე? მრთი მოკლე პასუხი — არავითარი. იქნება

მკითხველმა სთქვას, რომ არა უშავს რა რომ ათის წლის ბავშვები დაასრულებენ სასოფლო შკოლას; როდესაც მოიზრდებიან, მაშინ ხომ მოიტანენ რამე ცვლილებას, მაშინ ხომ იქონიებენ გავლენას? მაგრამ ეს ტყუილი იმედია: ათის წლის ბავშვის გული, არსება, ჯერ კიდევ ასეთი ჩვილია, რომ ვიდრე იგინი მოიზრდებიან, მათ ერთი სიტყვაც აღარ ეხსომებათ იმისა, რაც შევლაში ისწავლეს; ამასთან ღრო და მის გარშემო მდულარე ცხოვრება თავისას იქმენ და სრულიად გააქარწყლებენ იმ სიკეთილედ დათესილ და ცოტათი აღმოცილებულ კეთილს თესლს, რომლის დათესვა ერთის ვაი ვაგლანით და გაუწყვეტელი შრომით ძლივს მოახერხა სოფლის მასწავლებელმა! ამიტომ ჩვენ იმ ჰაზრისა ვართ, როგორც მრავალმა, ერთის სოფლის შკოლის მოწაფეებმა დაგვარწუნეს, რომ სასოფლო შკოლებში მივიღებდეთ არა ნაკლებ ათის წლისა. ამაზე უფროს წლოვანობაში სწავლის მოსურნენიც მრავალნი გამოჩნდებიან, მხოლოდ მეცადინეობა, დარიგება, ბეჯითობა ხალხთან დახლოებაა საჭირო. იქ, სადაც ექესი, შეიღი, რა წლის ბავშვები სხედან ათისთერთმეტის წლის ბეშვებთან სწავ-

ლა ამ უკანასკნელებისა მიღის როგორც ნიაღვარი, მაშინ როდესაც პირველების სწავლა ბატის სიარულსაც ვერ შეედრება. როდესაც ჩვენ მივიღებთ სასოფლო შკოლებში არა ნაკლებ ათის წლისა, მაშინ სწავლის შესრულების შემდეგ მოწაფენი იქნებიან 14, 15 და ზოგი 16-17 წლის ჰბაუკნიც. აი მაშინ კი შეიძლება ვიქონიოთ არა უიმედო იმედი, რომ სასოფლო შკოლაში სწავლის დამსრულებელი შეეძლებათ ცვლილება მოიტანონ თავიანთ ცხოვრებაში, შეეძლებათ განათლებული გავლენა იქონიონ სოფელში...

ჩვენ ჩამოვთვალეთ უპირველესნი დაბრკოლებანი და ამასთანავე უპირველესნი მოთხოვნილებანი, რომელნიც საჭირონი არიან სასოფლო შკოლების წარმატებისათვის. თქმა არ უნდა, რომ ზემოთ მოყვანილ წესებს გარდა, არიან კიდევ სხვა მრავალნი—მასწავლებელთა კარგიანობა, ამათი ნივთიერი მდგომარეობა, სახელმძღვანელების მოუკლებლათ და სხვა, მაგრამ გვეყოფა ამაზე ლაპარაკი და ჩვენ საგანს შეუღღეთ.

(შემდეგი იქნება)



# ბანსაღმბანი

გაიშარტო სახელოსნო რომელ-

შიაც მსურველს შეუძლიან გააკეთებინონ შემდეგი სამეურნეო იარაღები:

ქვერი ნიკ. ავალიშვილისა.

მატარებელი (приводъ) ამ კვერისათვის, თ. შრ. ჩოლაყაშვილისებური, ამჟამად გაუკეთებულნი მისგანვე.

მატარებელი (приводъ) ისევ ამ კვერისათვის, ნიკ. ავალიშვილისებური, მესხანშიმოთი. საჭიროდ ერაცხავ ცანობო მეურნეთა, რომ წსენებული კვერი შარშანდელ კვალობაზედ ახლა დიად გაუკეთებულთა, და თუ რამ დამატება და შეცვლა ეჭარებოდა ახლა შეცვლილია და შესრულებული იმ დამატებებითა.

ამ იარაღების შემოკვეთა ვისაცა ჰსურს, უნდა მიჰმართოს ნ. ავალიშვილს სოლოლაკზედ, ქოჯორის ქუჩაზედ, ამბარკუთხოვის სახლში, № 2, ნაშუადღევს 4-ან 7 საათამდის.

## თვილისის მალაქის სამკურნალო

(ღვინიცი) ამით აცხადებს, რომ ვისაც ჰსურს თავის შეილებს ჰვაპილი აუტარას, შეუძლიან მიმართოს სამკურნალოში, სადაც იმყოფება ყვავილის-ამტრელი არუთინ ხალათოვი.

შევილს აუტრიან ორშაბათობითა და პარასკეობით დილის 10 საათიდან 12-მდინ; ღარიბებს მუქთად აუტრიან. (3-3)

# ქუთაისის სააღმოსაღმრო ბანკის გაგზავნა

საუკველთაგოდ აცხადებს, რომ: ა, ეს ბანკი ამ მართის 10 რიცხვიდან მოკლემადიან სესხს აძლევს ხუთას (5000 მან.) თუმანად, და ბ, მოკლემადიანი სესხის სარგებლად იღებს იმ პირთაგან, რომელთა ბანკის დასაღმენად ფული არ უმუშაინათ, ცხრის მაგიერ კმა ასეულს პროცენტს. (3-2)

## „დროების“ კორექსიონი

არ ვიცი რა პასუხი მიიღეს; ესკი ნამდვილია, რომ ამ მიზეზით ნახევარ გლენობას ეწინააღმდეგები შეუძლებელი დარჩათ.

ჩვენი აქციის ჩინოვნიკი, როგორც იყო „ივერიის“ № 2-ში ნათქვამი, აქამომდე სატიკად ასრულებს „მუშტითი სამართალს“.

თელაველებს, განსაკუთრებით აწერილს პირთა, ისე არა მოსწონთ რა, როგორც ასოებით კორრესპონდენტების გამოცნობა და ისე არა ეჯავრებათ-რა, როგორც მიზეზის გამოკვლევა, თუ—რამ აიძულა კორრესპონდენტი ამის დასაწერად. აი მაგ. „დროების“ № 57-ში იყო თელავიდან კორრესპონდენცია ამჰსევედონიშითი ი. ხ. თელაველებმა ამ ორი ასოდგან ივენე სუცესიც გამოიყვანეს, იერეძია ხირსელოვიც, იროლიონ ჩხეტიანიც, ივანე ხატივეიც, ივანე ხარიტონოვიც და თითქმის იაკუბ-ხანიც თელავში კინალამ არ გააჩინეს. ისკი ორის მეტს არ უთქვამს, თუ ამის დასწერი რამდენად მართალი იყო. ამათი ლტოლვილება რომ ვიცი ფილოლოგიისადმი მეც ახალს ასოებს დავსხამ ბოლოში, იმ იმედით, რომ, იქნება, იმ ასოებიდან ახლა ფილოსოფისი ძონტი გამოიყვანონ; ეს მით უფრო საჭიროდ დავინახე, რომ ზემო მოყვანილი პირები, რომელითა სახელები და გვარები იწყება ი. და ს. იმდენად შრომობდნენ ჩემის წერილის დაწერაში, რამდენათაც თელაველები მატინოვის ამორჩევაში. ძონ.

თელავი, 19 მარტს. სომხის სამღვდლოება ჩვენში იყოფება ორ გუნდად და ამათ შუაგ იხეთივე და უფრო დიდი უკმაყოფილებაა, როგორც ქართველის მღვდლებში. ერთი მათგანი არის ძველი თაობისა და მეორე ახალის წარმომადგენელი. ამ ორი თაობის წარმომადგენლების აყალ-მაყალმა იქამდის მიასწია, რომ შიშიაწინის პატრიარქმა გამოძიებელი გამოგზავნა. ამ გამოძიებელს თელავის სომხობა დაუხვდა დიდის ამბით და პატივის ცემით; მაგიერად გამოძიებელმაც დაიმსახურა სახელი პატიოსანის და სწავლაში განვითარებულის კაცისა;

სხვა ამბებიც ბევრია თელავში, თუცა კი წინმსწელობისა ცოტა: სოფლებში საქონლის ჭირია გაჩენილი და დიდ ზარალს აძლევს გლეხ-კაცობას. ამ დღეებში თელავის დოქტორი ყოფილიყო სოფლებში და დაიბრუნა ნიკო ხალხისთვის; სხვათა შორის იქეკა, რომ გომურები კირით უნდა გაღვსოთო, საქონელი როცა კვდება უნდა ისე გაუტყავებელი მიწაში დამარხოთო. ამაზედ ხალხი ამბობდა: „ჩვენი სადგომებიც ვერ გაგვიღვსია კირითა და გომურები სადა ვღვსოთო; საქონელი გვიკვდება, რომელიც ვინ იცის რა ვაი ვაგლანით გვიშროვია და რა გიყვები ვიქნებით ტყავს მინც არ გამოვჩინოთ, ამ ქალმები სიძვირეშიო.“ ზოგი კიდევ ამბობდა: „მამა მამიკვდა და მე იმას ფერშალი ვერ მოვგვარეო და საქონლის სიკვდილზე დოქტორთან სად ვიბრინოვო.

წელს ჭიგვის მოჭრაზე და გამოტანაზე დიდი დავი-დარბა იყო: ზოგი მგონი თქვენს ქალაქშიაც ბრძანდებოდნენ ლუბერნატორთან სათხოვნელად; რომ ამ ცეცხლისგან დავეხენითო.

რპ. გზა.	დღა.	სადა.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მანკაბ.	მაზანდა	მანკაბ.	თვილისის სამკურნალო.
თფილისი..	9 21	5 18	მ.კაბ.	მ.კაბ.	მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 5 აპრილს.		მ.რენ-ს. მადანზე, წ. ნამდვაროვის სახლებში.
მცხეთა..	10 11	6 27	85	44	ძაქასიის აქეთა მზრის ყველა ქალაქებში.	50	ფქე. თეთ. ბანჯისა, ფთ.	1 60	ავამყოფებს მიიღვენ ყოველს დღე დილის 9 საათიდან 1-მდინ.
ზორი..	11 58	9 43	3	1 53	როსტოვი, მდესას, მოსკოვი	2	ქერი ფუთი	1 25	მ. რ შაბათს: მერმიშვილი და ბარლევინი—შინაგ. ავთო, ქიუჩანოცი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
ხაშური..	1 29	11 57	4 73	2 42	პეტერბურს, ვარაზის.	2	ბამბა მრეცისა, ფუთი.	7 30	სამ შაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთო, ქიუჩანოცი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
სურამი..	1 44		4 90	2 61	მსმალეთში, შვეიც რიაში.	3	— ამერიკისა, ფუთი.	8 40	სამ შაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთო, ქიუჩანოცი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
ქვირილი..	5 49		7 21	3 69	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	ბაპენტოლი ბამბა ფუთი.	9 60	სამ შაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთო, ქიუჩანოცი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
რიონი..	6 57		8 44	4 31	ინგლისში	3 75	მატული თუშური ფუთი	6 50	სამ შაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთო, ქიუჩანოცი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
სამტრედია	7 51		9 66	4 93			— მარაქმისა ფუთი.	3 80	სამ შაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთო, ქიუჩანოცი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
ახალ-სენაკი	8 43		10 71	5 47			აბრეშუმში ნუხური სტ.	2 10	სამ შაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთო, ქიუჩანოცი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
შოთი..	9 50		12 24	6 26			ქონი, ფუთი	5 50	სამ შაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთო, ქიუჩანოცი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
შოთი..	9 3				ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. მ. შურ.—პარასკ. და ორშ. ძახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან: თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. მ. შურგეთს—ორშ. და პარასკ.		ქონის სათლი ფუთი.	7 55	სამ შაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთო, ქიუჩანოცი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
ახალ-სენაკი	10 14		1 53	78	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		სტეარინის სათელი, ფთ.	12 60	სამ შაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთო, ქიუჩანოცი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
სამტრედია	11 5		2 61	1 33	ლი წიგნის	4	სხორცი ძროხისა, ლიტ.	1 8	სამ შაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთო, ქიუჩანოცი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
რიონი..	12 13		3 84	1 97	და ბ. ჭილიის (ხ. მი მისხალი)	8	— ცხვრისა, ლიტრა	1 8	სამ შაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთო, ქიუჩანოცი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
ქვირილი..	1 18	ღამე.	5 3	2 56			სპირტი ვედრო	4 60	სამ შაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთო, ქიუჩანოცი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
სურამი..	5 12		1 10	7 34			შაქარი, ბროც. ფუთი.	7 35	სამ შაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთო, ქიუჩანოცი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
ხაშური..	5 39		1 37	7 51			— ფხვნილი ფუთი.	5 50	სამ შაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთო, ქიუჩანოცი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
ზორი..	7 5		4 8	9 24			ქავა გრგვლი, გირე.	— 65	სამ შაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთო, ქიუჩანოცი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
მცხეთა..	8 50		6 59	11 39			ზეთი ქუნჯუთისა ფუთი	11 80	სამ შაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთო, ქიუჩანოცი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.
თფილის..	9 31		7 56	12 24			თამბაქო, საშულო ფთ.	7 40	სამ შაბათს: მერმიშვილი—შინაგ. ავთო, ქიუჩანოცი—ქალის ექიმი და საშვილოასნოს ოპერაციები.